1 წელი
მარტის აქციებიდან

სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი

ხელმძღვანელი: გურამ იმნაძე

ავტორი: თამარ ფაჩულია

ფოტო ყდაზე: ხატია ფსუტური

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, სოციალური სამართლიანობის ცენტრის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ციტირების წესი: *სოციალური სამართლიანობის ცენტრი, თამარ ფაჩულია, „ერთი წელი მარტის აქციებიდან“, 2024*

© სოციალური სამართლიანობის ცენტრი

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო

ტელ.: +995 032 2 23 37 06

www.socialjustice.org.ge

info@socialjustice.org.ge

https://www.facebook.com/socialjustice.org.ge

ერთი წელი მარტის აქციებიდან

სარჩევი

შესავალი 3

ფაქტების ქრონოლოგია 4

კანონპროექტის ინიციირება 4

საპროტესტო აქციების ტალღა 6

სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში მიმდინარე გამოძიება 6

ლაზარე გრიგორიადისის საქმე, როგორც პოლიტიკური შურისძიების გამოვლინება 7

შეკრების უფლების შეზღუდვა 9

შინაგან საქმეთა სამინისტროს განმარტება სპეციალური საშუალებების გამოყენებაზე 10

შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების დაცვის სტანდარტები 13

შეჯამება და რეკომენდაციები 16

შესავალი

საქართველოს პარლამენტში ინიცირებული ,,უცხოური გავლენების გამჭვირვალობის შესახებ" კანონის საწინააღმდეგო მასშტაბური საპროტესტო გამოსვლებიდან ერთი წელი გავიდა. მარტის მოვლენებმა ხელისუფლების ანტიდასავლური და კრიტიკული აზრის ჩახშობისკენ მიმართული პოლიტიკა კიდევ ერთხელ გამოააშკარავა. ინიციატივა დამოუკიდებელი სამოქალაქო ორგანიზაციების მარგინალიზებასა და მათ მტრებად, "უცხოებად" მონიშვნას ისახავდა მიზნად. მმართველმა გუნდმა, ერთი მხრივ, ქვეყნისთვის გადამწყვეტ პერიოდში საქართველოს ევროატლანტიკური მომავლისთვის ხელისშემლელ ინიციატივას დაუჭირა მხარი. მეორე მხრივ, ძალადობრივი მეთოდებითა და არაპროპორციული საშუალებებით დაარბია მშვიდობიანი საპროტესტო აქციები. უპრეცედენტო საერთაშორისო კრიტიკა და ადგილობრივი ორგანიზაციების პროტესტი არ აღმოჩნდა საკმარისი კანონპროექტის გასაწვევად. ხელისუფლებამ მხოლოდ მას შემდეგ დაიხია უკან, რაც პარლამენტის წინ რამდენიმედღიანი საპროტესტო აქციები მოეწყო და ჭარბი საპოლიციო ძალის გამოყენებამ კიდევ უფრო გაამძაფრა ვითარება და არსებითი საფრთხე შეუქმნა სამოქალაქო მშვიდობას.

კანონპროექტის გაწვევის მიუხედავად, ბოლო ერთი წლის მანძილზე აქტიურად გაგრძელდა თავდასხმები სამოქალაქო სექტორზე[1] და ორგანიზებული ფორმა მიიღო ხელისუფლების ჭარბმა აგრესიულმა რიტორიკამ ცალკეული აქტივისტებისა და უფლებადამცველების მიმართ. ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენები ცხადყოფს, რომ საპროტესტო აქციებზე გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის მიზნით პოლიციის მასშტაბური დაკავებების თვითნებური პრაქტიკა კვლავ აქტიურად გამოიყენებოდა.[2] იმ ფონზე, რომ მმართველი გუნდის წარმომადგენლები აგრძელებენ კანონის იდეის მხარდაჭერას მედიასა და არასამთავრობო ორგანიზაციებზე თავდასხმის გზით,[3] ერთი წლის შემდეგ ამ მოვლენების ანალიზი კვლავ მნიშვნელოვანი და აქტუალური რჩება.

დოკუმენტის მიზანია, მოკლედ შეაჯამოს მარტის აქციებზე მიმდინარე მოვლენები, გააანალიზოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არგუმენტები შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის პროპორციულობასთან დაკავშირებით და განიხილოს ისინი საერთაშორისო სტანდარტების კონტექსტში.

---

[1] სამოქალაქო საზოგადოების ფონდი- საზოგადოებრივი ორგანიზაციების ერთობლივი განცხადება - 29.05.2023. ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/qwMXpSvX

[2] იგივე პრაქტიკა მარტის შემდეგ გამოვლინდა არაერთ საპროტესტო აქციაზე (აქცია რუსეთთან პირდაპირი ფრენების აკრძალვის მოთხოვნით - 2023 წლის მაისში; უფლებადამცველების საპროტესტო ცარიელი ფურცლებით - 2023 წლის ივნისში; საზოგადოებრივი პროტესტი ბათუმში რუსული საკრუიზო გემის შემოსვლასთან დაკავშირებით - 2023 წლის აგვისტოში, რაჭის ტყეების დაცვის აქციები - 2023 წლის ნოემბერში, გამოსახლების წინააღმდეგ აქცია - 2024 წლის იანვარში და სხვ.)

[3] On.ge – „პარლამენტის თავმჯდომარე ისევ რუსულ კანონს იცავს და სტრატეგიულ პარტნიორებს "რადიკალიზმის ალაგმვაზე" აკისრებს პასუხისმგებლობას. ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/IwMXocmP

ფაქტების ქრონოლოგია

კანონპროექტის ინიცირება

კანონპროექტის ინიცირების გეგმა საზოგადოებრივი მოძრაობა - "ხალხის ძალის" წარმომადგენლებმა პირველად 2022 წლის 29 დეკემბერს, პარლამენტში გამართულ ბრიფინგზე[4] დააანონსეს. მათივე განცხადებით, *კანონპროექტი საუკეთესო დასავლურ პრაქტიკასა და ამერიკულ კანონმდებლობას ეფუძნებოდა.* 2023 წლის 14 თებერვალს დეპუტატებმა კიდევ ერთი ბრიფინგი გამართეს და საზოგადოებას აცნობეს, რომ კანონპროექტზე მუშაობა პრაქტიკულად დასრულებული იყო. შესაბამისად, იმავე დღეს პარლამენტში დაინიცირდა კანონპროექტი "უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ".[5]

ამ ინიციატივამ სამოქალაქო სექტორის, საერთაშორისო საზოგადოებისა და დამოუკიდებელი მედიასაშუალებების მწვავე შეფასებები დაიმსახურა, რის გამოც 2023 წლის 21 თებერვალს გამართულ კიდევ ერთ ბრიფინგზე ხალხის ძალის წევრებმა ალტერნატიული კანონპროექტის ინიცირება დააანონსეს. მათი თქმით, *კანონპროექტის ინიცირების შემდეგ აღარ იარსებებდა "სპეკულაციები," რომ კანონპროექტი ამერიკული არ არის.*[6] შედეგად, 2023 წლის 22 თებერვალს პარლამენტში „უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ" კანონპროექტი[7] დაინიცირდა. ინიციატივის პრინციპების დამცველებად „ქართული ოცნების" წევრებიც გამოვიდნენ. პარლამენტის მაშინდელი თავმჯდომარის, ირაკლი კობახიძის შეფასებით, კანონპროექტი ევროკავშირის მიერ განსაზღვრული პირველი პრიორიტეტის - დეპოლარიზაციის შესრულებას შეუწყობდა ხელს.[8] საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის - მამუკა მდინარაძის განცხადებით კი, უმრავლესობა პრინციპების დონეზე კანონის იდეას ემხრობოდა და ცვლილებები მხოლოდ დეტალებს შეეხებოდა. [9]

როგორც უკვე აღინიშნა, კანონპროექტების ინიციატორები ე.წ „ხალხის ძალის" დეპუტატები არიან. „ხალხის ძალა" მმართველი პარტიიდან ფორმალურად გასული დეპუტატების მიერ

---

[4] ხალხის ძალის 2022 წლის 29 დეკემბრის ბრიფინგი. ვიდეო ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/qwNIDN8O

[5] „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" კანონპროექტი ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/5wBH2ksb

[6] აშშ-ის მაშინდელი ელჩი საქართველოში აცხადებდა, რომ ამერიკული კანონი სხვა სახელმწიფოების პოლიტიკური ლობიზმის გამოსავლენადაა მიმართული, განსხვავებით ქართული ოცნების რუსული კანონისგან. ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/awMXnpFg

[7] „უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ" კანონპროექტი ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/4wNwRCw3

[8] ტაბულა - "კობახიძე რუსულ კანონზე: ხელს შეუწყობს EU-ს პირველი პუნქტის შესრულებას, დეპოლარიზაციას". ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/RwMCs8Rd

[9] ფორმულა - „მდინარაძე რუსულ კანონზე: ქართული ოცნების სახელით ვამბობ, მხარს დავუჭერთ." ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/mwMCliRi

დაფუძნებული მოძრაობაა,[10] რომელიც მმართველი გუნდის რიტორიკასა და პოზიციებს იზიარებს. „ხალხის ძალის“ წევრები ქართული ოცნების ფრაქციის წევრებთან ერთად ქმნიან საპარლამენტო უმრავლესობას.[11] შესაბამისად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ რეალურად კანონპროექტი სწორედ მმართველი გუნდის ინიციატივას წარმოადგენდა.

კანონპროექტს პირველი მოსმენით 76-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი. საპარლამენტო უმრავლესობიდან კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია რამდენიმე დეპუტატს, მათ შორის, ქეთევან დუმბაძეს, ვლადიმერ ჩაჩიბაიას, დავით სერგეენკოს, გიორგი ხელაშვილს, ირაკლი კოვზანაძეს, ნინო იობაშვილსა და ირაკლი მეძმარიაშვილს.[12] კანონპროექტის „გაწვევიდან“ რამდენიმე დღეში, 18 მარტს, საპარლამენტო უმრავლესობამ და მთავრობის წევრებმა შეხვედრა გამართეს, რომელსაც ეს დეპუტატები არ ესწრებოდნენ. მოგვიანებით დუმბაძემ და მეძმარიაშვილმა განაცხადეს, რომ ტექნიკური ხარვეზი იყო და კანონპროექტს მხარს უჭერდნენ. იმ დეპუტატებს კი, რომლებმაც ბოლომდე შეინარჩუნეს პოზიცია, მალევე მოუწიათ სადეპუტატო მანდატების დატოვება.[13]

ვლადიმერ ჩაჩიბაიამ 20 მარტს განაცხადა რომ მანდატის დატოვება უნდოდა. ეს მისი “დაჟინებული თხოვნა იყო”.[14] ამავე დღეს გახდა ცნობილი საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის - ირაკლი კოვზანაძის გადაწყვეტილება პარლამენტის დატოვების შესახებ, რაც პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, პროფესიაში დაბრუნების სურვილით იყო განპირობებული.[15] 24 მარტს საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, რომ ოცნების სამი დეპუტატი – ვლადიმერ ჩაჩიბაია, ნინო იობაშვილი და გიორგი ხელაშვილი პრემიერ-მინისტრისა და პარლამენტის თავმჯდომარის მრჩევლები გახდნენ.[16] რაც შეეხება დავით სერგეენკოს, მანაც კანონის გაწვებიდან მალევე დააანონსა გადადგომა, თუმცა საბოლოოდ სადეპუტატო მანდატი 2023 წლის ნოემბერში დატოვა.[17]

---

[10] IDFI-„უცხოეთის აგენტების კანონი-ევროპული პრაქტიკა და საქართველო.“ ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/Pw1t3hro

[11]დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი- „მართული დემოკრატია - პოლიტიკური მოძრაობა „ხალხის ძალის“ დაფუძნება“. ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/hwNwEmj6

[12] On.ge – “ვინ (არ) დაუჭირა მხარი რუსულ კანონს”. ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/Qw1rRN15

[13] ფორმულა, „საპარლამენტო უმრავლესობაში ცვლილებებია“. ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/5w1rS0ot

[14] რადიო თავისუფლება - „ჩემი დაჟინებული თხოვნაა, რომ დავტოვო პარლამენტი - ჩაჩიბაია“. ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/Vw1yeQ5g

[15] Civil.ge – „საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე პარლამენტს ტოვებს “. ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/Aw1yrfGk

[16] Civil.ge- „აგენტებზე “კანონპროექტის უარმყოფელი დეპუტატები პრემიერისა და პარლამენტის თავმჯდომარის მრჩევლები გახდნენ “. ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/aw1ywcUE

[17] Civil.ge – “დეპუტატებმა დავით სერგეენკოსთვის პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტას მხარი დაუჭირეს.” ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/569773

საპროტესტო აქციების ტალღა

კანონპროექტების განხილვა პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა და თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტების ერთობლივ სხდომაზე 2023 წლის 2 მარტს დაიწყო. ამ დღიდან მოყოლებული 9 მარტის ჩათვლით ყოველდღიურად იმართებოდა საპროტესტო აქციები პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე. 2 მარტის აქციაზე პოლიციამ 36 ადამიანი, მათ შორის ორი ჟურნალისტი, დააკავა.[18]

მომდევნო საკომიტეტო განხილვა 6 მარტს იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე გაიმართა. პარლამენტის შენობაში დაშვების შეზღუდული რეჟიმი ამოქმედდა. იურიდიულმა კომიტეტმა მხარი დაუჭირა „უცხოეთის აგენტების" კანონპროექტს. მმართველი გუნდის განცხადებით, კანონპროექტი პლენარულ სხდომაზე 9 მარტს უნდა გასულიყო, თუმცა 7 მარტის პლენარული სხდომის მიმდინარეობისას, ქართულმა ოცნებამ დაუსაბუთებლად შეცვალა დღის წესრიგი და კანონპროექტის განხილვა დაიწყო. ამ გადაწყვეტილებას 7-9 მარტის მასშტაბური საპროტესტო აქციები და საბოლოოდ, კანონის მეორე მოსმენით ჩაგდება მოჰყვა.

სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში მიმდინარე გამოძიება

ჭარბი საპოლიციო ძალის გამოყენების პარალელურად, მარტის აქციების დროს გამოვლინდა სამართალდამცავების მხრიდან აქციის მონაწილეთა მიმართ ფიზიკური ძალადობის შემთხვევები. მათ შორის, ძალადობრივ ქმედებებს ჰქონდა ადგილი პარტია „გირჩი - მეტი თავისუფლება" წევრების - ზურა გირჩი ჯაფარიძისა და ნიკა მოსიაშვილის მიმართაც.[19] სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა მომხადარ ფაქტებთან დაკავშირებით გამოძიება 8 მარტს დაიწყო.

2023 წლის 8 ივლისს, სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა 7-9 მარტის აქციებთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიების თაობაზე განახლებული ინფორმაცია გაავრცელა. განცხადებით დგინდებოდა, რომ *სპეციალური ეკიპირებით აღჭურვილი სამართალდამცავების იდენტიფიცირებისა და ამოსაცნობი ნიშნების დადგენის მიზნით, მოპოვებული იქნა საჯარო ინტერნეტ-სივრცეში არსებული სატელევიზიო გადაცემების ჩანაწერები, ასევე, პარლამენტიდან და პარლამენტის შენობის მიმდებარედ განლაგებული სხვა დაწესებულებებიდან გამოთხოვილი იქნა გამოძიებისთვის საინტერესო ვიდეოჩანაწერები, რომლებზეც ასახულია 7-9 მარტს რუსთაველის გამზირზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე განვითარებული მოვლენები.*[20] 2023 წლის აპრილში გავრცელებული განცხადებით კი, *ტექნიკურად იყო დაზიანებული საჯარო*

---

[18] ფორმულა - „2 მარტის აქციაზე დაკავებული ჟურნალისტების სასამართლო პროცესი ხვალ ჩაინიშნა". ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/swNwWj0f

[19] პალიტრა ვიდეო - „"კადრებში ხედავთ დაკავების ეპიზოდს... ხელკეტები ურტყეს თავში, ზურას ეტყობა სისხლჩაქცევები თხემზე, აქვთ მძიმე ტკივილი ყბის არეში".

[20] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2023 წლის 13 აპრილის განცხადება. ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/Zw1ysD54

დაწესებულებებზე განთავსებული კამერები, რომელთაც 8 მარტის აქციაზე პოლიციელების მხრიდან ზურა ჯაფარიძისა და ნიკა მოსიაშვილის მიმართ ძალადობა უნდა დაეფიქსირებინათ.[21]

გამოძიების დაწყებიდან 1 წლის თავზე სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2024 წლის 26 თებერვლის წერილით[22] გვეცნობა, რომ მიმდინარეობს გამოძიება ორ სისხლის სამართლის საქმეზე:

1) შინაგან საქმეთა სამინისტროს ცალკეული თანამშრომლების მხრიდან, 2023 წლის 7-9 მარტს, ქ. თბილისში, საქართველოს პარლამენტის შენობის მიმდებარედ გამართულ საპროტესტო აქციის მონაწილეთა მიმართ განხორციელებული სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით გადამეტებისა და ჟურნალისტებისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტებზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 154-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით;

2) შინაგან საქმეთა სამინისტროს ცალკეული თანამშრომლების მხრიდან, ზურაბ გირჩი ჯაფარიძისა და ნიკა მოსიაშვილის მიმართ განხორციელებული სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით გადამეტების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

შესაბამისად, საქმეზე ისევ მიმდინარეობს საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებები და არც ერთი პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა არ არის დაწყებული.

აღნიშნულის პარალელურად, ზურაბ გირჩი ჯაფარიძე და ნიკა მოსიაშვილი წვრილმანი ხულიგნობისა და სამართალდამცავებისადმი დაუმორჩილებლობის საფუძვლით თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ირაკლი ჩიკაშუამ სამართალდამრღვევებად ცნო და 2 500-2 500 ლარის ოდენობით ჯარიმა დააკისრა.[23]

ლაზარე გრიგორიადისის საქმე, როგორც პოლიტიკური შურისძიების გამოვლინება

კანონპროექტის გაწვევის პარალელურად, ქართულმა ოცნებამ საპროტესტო აქციის მონაწილეების დისკრედიტაცია დაიწყო. პრემიერ-მინისტრმა რამდენჯერმე აქციებზე მყოფ ახალგაზრდებს „სატანისტები, ანარქისტები და პროვოკატორებიც“ უწოდა, თუმცა შემდეგ დააზუსტა, რომ საუბარი 4-5 ახალგაზრდაზე ჰქონდა.[24] დისკრედიტაციის კამპანია

---

[21] ფორმულა - „ გამოძიება ჯაფარიძე-მოსიაშვილის ეპიზოდზე: სამეთვალყურეო კამერები ტექნიკურად დაზიანებული იყო“. ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/Cw1ydr5q

[23] რადიო თავისუფლება - „ზურა ჯაფარიძე და ნიკა მოსიაშვილი სასამართლომ 2 500-2 500 ლარით დააჯარიმა მარტის აქციების საქმეზე“ ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/zw1ydvB1

[24] ფორმულა -„ლაზარე გრიგორიადისის საქმე - ხელისუფლების შურისძიება.“ ხელმისაწვდომია: https://formulanews.ge/News/88084

განსაკუთრებით აქტიური იყო ლაზარე გრიგორიადისის მიმართ, რომლის საქმე სახელმწიფოს მხრიდან პოლიტიკური შურისძიების ცალსახა გამოხატულებაა.

პროკურატურის მტკიცებით, 7 მარტს ლაზარე გრიგორიადისმა 9 აპრილის ქუჩაზე შსს-ის განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლების მიმართულებით ორჯერ ისროლა ე.წ. მოლოტოვის კოქტეილი. მას სისხლის სამართლის კოდექსის 353[1] -ე მუხლის მეორე ნაწილით *(პოლიციელის ჯანმრთელობის ხელყოფა მის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით)* და 187-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით *(სხვისი ნივთის განადგურება, ცეცხლის წაკიდებით*) გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენას ედავებიან.

ლაზარეს დაკავების დღიდან ხელისუფლების წარმომადგენლებისა და პროსახელისუფლებო მედიის მიერ აქტიურად მიმდინარეობს მისი მადისკრედიტირებელი და დისკრიმინაციული კამპანია. მაგალითისთვის შეგვიძლია გავიხსენოთ რამდენიმე განცხადება:

- დაკავების ფაქტი პროსახელისუფლებლო ტელეკომპანია POSTV-მ გაასაჯაროვა და ბრალდებულის ფოტოს დაურთო წარწერა - "წარსულში მამის მიმართ ძალადობაზე ნასამართლევი, ხოშტარიას პარტიის წევრი ლაზარე გრიგორიადისი დააკავეს".[25] რეალურად, ამ განცხადების გავრცელების მომენტში ლაზარეს ბრალი ჰქონდა წაყენებული ოჯახური დანაშაულისთვის, თუმცა არ არსებობდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი. შესაბამისად, არც ნასამართლევი იყო. ამასთან, მისი კავშირი რომელიმე პოლიტიკურ პარტიასთან არ დადასტურებულა.
- ქართული ოცნების მაშინდელმა თავმჯდომარემ - ირაკლი კობახიძემ ლაზარე სატელევიზიო ინტერვიუში არაერთხელ მოიხსენია, როგორც „გზასაცდენილი“ და „ორიენტაციაარეული“. კობახიძემაც მისი ქმედებები ოპოზიციას დაუკავშირა. [26]

ხელისუფლების წარმომადგენლებსა და პროსახელისუფლებო მედიას საერთო მიზანი - მოსახლეობაში ლაზარეს მიმართ ნეგატიური შთაბეჭდილებების შექმნა და საზოგადოებრივი აზრით მანიპულირება ჰქონდათ.

ხელისუფლების მხრიდან პოლიტიკური მართლმსაჯულების სამიზნედ გრიგორიადისის შერჩევაზე, გარდა დისკრიმინაციული და მადისკრედიტირებელი კამპანიისა, სასამართლო პროცესების მიმდინარეობაც მიუთითებს. ლაზარეს საქმის განხილვა თბილისის საქალაქო სასამართლოში 2023 წლის მაისში დაიწყო და ჯერ კიდევ არ არის დასრულებული. პროკურატურის მხრიდან მტკიცებულებების გამოკვლევის პროცესი საქმის გაჭიანურების შთაბეჭდილებას ქმნიდა, ვინაიდან არაერთხელ გამოვლინდა სხდომაზე მხოლოდ ერთი მოწმის გამოძახების შემთხვევა. პროცესები რამდენჯერმე, ხანგრძლივი ვადით, მოსამართლის მიზეზითაც გადაიდო. მაგალითად, 2024 წლის 26 თებერვალს ჩანიშნული დასკვნითი

[25] POSTV - ანალიტიკა, განცხადება სოციალურ ქსელში. ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/IwNJpe3N
[26] ირაკლი კობახიძის განცხადება. ვიდეო ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/dwNKcGs4

პროცესი მოსამართლის შვებულების გამო 28 მარტამდე გადაიდო. გარდა ამისა, წინასწარი პატიმრობის მოთხოვნა პროკურატურის მხრიდან სრულიად შაბლონურად, კონკრეტულ გარემოებებზე მითითების გარეშე განხორციელდა. დაუსაბუთებელი იყო სასამართლოს განჩინებაც აღკვეთის ღონისძიების ყველაზე მკაცრის სახის გამოყენების თაობაზე.

მნიშვნელოვანია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ ერთმანეთთან შეთანხმებული, ნეიტრალური მტკიცებულებების გარეშე არ გამოიტანოს გამამტყუნებელი განაჩენი.

შეკრების უფლების შეზღუდვა

2-8 მარტის აქციებს თან ახლდა პოლიციის მიერ შეკრებებისა და მანიფესტაციის უფლების საწინააღმდეგოდ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული მექანიზმების თვითნებური გამოყენება. სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლები, ერთი მხრივ, კანონის მოთხოვნათა დარღვევით იყენებდნენ სპეციალურ საპოლიციო საშუალებებს (წყლის ჭავლი, ცრემლსადენი გაზი, წიწაკის სპრეი), მეორე მხრივ, კი მასობრივად აკავებდნენ მშვიდობიან მოქალაქეებს და ცალკეულ შემთხვევებში, გაუმართლებელ, ძალადობრივ და ღირსების შემლახავ მოპყრობას ავლენდნენ მათ მიმართ.

სპეციალური საშუალებების შესაძლო გამოყენებასთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განცხადების გავრცელების დროს (7 მარტი, 20:43 სთ) აქცია მიმდინარეობდა მშვიდობიანად და მისი რაიმე ფორმით დაშლის ობიექტური საჭიროება (თუნდაც ლოკალურ დონეზე) არ არსებობდა. სპეციალური საშუალებების საჭიროების გარეშე გამოყენებამ არათუ საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვა, არამედ პირიქით, ვითარების ესკალაცია გამოიწვია.

2023 წლის 7-8 მარტის ღამეს ხელისუფლებამ რამდენიმე სპეციალური საშუალება გამოიყენა აქციის მონაწილეების წინააღმდეგ, მათ შორის, ცრემლსადენი გაზი, წიწაკის სპრეი, წყლის ჭავლი. სპეციალური საშუალებები ზოგ შემთხვევაში გამოიყენებოდა პარალელურად, რაც ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს.[27] ამასთან, გავრცელდა ვიდეოჩანაწერები, სადაც ჩანს, რომ პოლიციელი წყლის ჭავლში წიწაკის სპრეის ურევდა, რაც ადამიანების მიზანმიმართული და დისპროპორციული დაზიანების რისკებს ქმნის.[28] სახალხო დამცველის განცხადებით, სამართალდამცველების მხრიდან ადგილი ჰქონდა დამიზნებით სახის არეში ზემოქმედებას, რაც ეწინააღმდეგება უფლებაში აუცილებელი და პროპორციული ჩარევის სტანდარტს. მისი თქმით, ნებისმიერი სახის ჩარევა მიზნად უნდა ისახავდეს კონკრეტული ინდივიდების ძალადობრივ ქმედებებზე პასუხს და არა მთელი შეკრების დაშლას.[29]

---

[27] სამოქალაქო ორგანიზაციების ერთობლივი განცხადება - „მშვიდობიანი სამოქალაქო პროტესტის წინააღმდეგ პოლიციამ უკანონო და არაპროპორციული ძალა გამოიყენა“. ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/HwNAp88W

[28] ვიდეო სოციალურ ქსელში - „პოლიციელი წყლის ჭავლში წიწაკის სპრეის ურევს“. ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/bwMXASEj

[29] სახალხო დამცველი 7-9 მარტის აქციებზე მომიტინგეების წინააღმდეგ დარღვევებზე საუბრობს. ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/5wNApm17

სპეციალური საშუალებების გამოყენების მასშტაბი ნათლად აჩვენებს, რომ პოლიციის მიერ გამოყენებული ძალა იყო დისპროპორციული და მიმართული იყო არა კონკრეტული პირებისკენ, არამედ ზოგადად შეკრების მონაწილეებისკენ.

შეკრების დაშლას სახელმწიფო მასობრივი ადმინისტრაციული დაკავებების გზითაც ცდილობდა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, 2023 წლის 2-3 მარტსა და 7-9 მარტს გამართულ საპროტესტო აქციებზე პოლიციამ ჯამში 169 პირი დააკავა. დაკავება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის (ასკ) 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა) და 173-ე (სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის ან სხვა მოხელის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა)[30] მუხლების საფუძველზე ხდებოდა. ამ მუხლებს პოლიცია იყენებდა იმ შემთხვევაშიც, როდესაც გამოხატვა პოლიტიკური თანამდებობის პირებს მიემართებოდა და არ ფერხდებოდა საპოლიციო საქმიანობა. გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის მიზნით მასობრივი დაკავებები უარყოფითად შეაფასა სახალხო დამცველმაც. მისი თქმით, დაკავებულების ნაწილს გარეგნული დაზიანებები ეტყობოდა.[31]

შინაგან საქმეთა სამინისტროს განმარტება სპეციალური საშუალებების გამოყენებაზე

2023 წლის 14 მარტს სოციალური სამართლიანობის ცენტრმა შინაგან საქმეთა სამინისტროს 7 მარტის აქციაზე შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლის განმარტებისა და შესაბამისი ინიდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით მიმართა.[32]

განცხადების საპასუხოდ, სამინისტრომ 2023 წლის 16 ივნისის წერილით[33] განმარტა 7-8 მარტს შეკრებისა და გამოხატვის უფლების შეზღუდვის საფუძველი. კერძოდ:

1. შსს-ის წერილის თანახმად, შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს პოლიციელთა უფლებამოსილებები და ქცევის ძირითადი პრინციპები ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, ასევე „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონსა და „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონს, პოლიციის ეთიკის კოდექსსა და *„შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს*

---

[30]„არასამთავრობო ორგანიზაციები 7-9 მარტს პარლამენტთან აქციაზე დაკავებულ პირებთან დაკავშირებით ერთობლივ განცხადებას ავრცელებენ. NGO-ები შსს, პროკურატურასა და სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს მიმართავენ.“ ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/3wNSizOY

[31] სახალხო დამცველი 7-9 მარტის აქციებზე მომიტინგეების წინააღმდეგ დარღვევებზე საუბრობს. ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/5wNApm17

[32] ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ადგენს ზეპირი ინდ. აქტის წერილობით გამოცემის ვალდებულებას დაინტერესებული მხარის მოთხოვნით აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ აქტი ზღუდავს პირის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს. გადაწყვეტილება სპეციალური საპოლიციო საშუალების გამოყენების შესახებ შემზღუდველი აქტია. შესაბამისად, შსს-ს მიმართვის გარეშე უნდა გამოეცა წერილობითი ინდივიდუალური აქტი, თუმცა ამის შესახებ სამინისტროს საჯაროდ ინფორმაცია არ გაუვრცელებია, რაც გახდა მიმართვის საფუძველი.

[33] შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 16 ივნისის MIA 1 23 01716060 წერილი.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ქცევის სახელმძღვანელო ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 დეკემბრის №1002 ბრძანებას.

ის ფაქტი, რომ ცალკეული საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტები კონკრეტულ შემთხვევებში პოლიციას იძულების ღონისძიებების გამოყენების შესაძლებლობას აძლევს, არ ათავისუფლებს სამინისტროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვალდებულებისგან. საკანონმდებლო აქტები იძულების ღონისძიებების, მათ შორის, სპეციალური საშულებების, გამოყენების ზოგად საფუძველს განსაზღვრავს. ინდივიდუალური აქტით კი ადმინისტრაციულ ორგანოს ის უნდა დაესაბუთებინა, თუ რატომ მიიჩნია კონკრეტულ შემთხვევაში საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვისთვის აუცილებლად ამ ღონისძიებების გამოყენება, ასევე პროპორციული იყო თუ არა გამოყენებული საშუალებების ინტენსივობა გამოყენების მიზანთან.[34] რაც შეეხება მინისტრის ბრძანებას, მითითებული სახელწოდებით/თარიღით/დოკუმენტის ნომრით მოქმედ საკანონმდებლო ბაზაში ამ შინაარსის ნორმატიული აქტი საერთოდ არ იძებნება.

2. შსს-ის წერილის თანახმად, საპროტესტო აქცია არაერთხელ გასცდა „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონით დაშვებულ ნორმებს და გადაიზარდა მასობრივად ძალადობრივ, არამშვიდობიან ქმედებებში.

აქციაზე შეკრებილი ადამიანების ცალკეული ჯგუფების მიერ შესაძლო ძალადობრივი ხასიათის ქმედებებს არ შეუცვლია პროტესტის ბუნება და შესაბამისად, არ საჭიროებდა პირთა განუსაზღვრელი წრის მიმართ სპეციალური ღონისძიების გამოყენებას. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ორგანიზაციის, Amnesty International-ის შეფასებით, მშვიდობიანი მომიტინგეების დარბევა და ცრემლსადენი გაზის, წიწაკის სპრეისა ან/და წყლის ჭავლის მათკენ მიმართვა ძალადობრივი ჯგუფების განმუხტვის მცდელობის გარეშე თვითნებურ მოქმედებას წარმოადგენს.[35]

3. სამინისტროს განმარტებით, 7 მარტს, დაახლოებით 21:00 საათზე, პარლამენტის შენობასთან შეკრებილმა მოქალაქეებმა პოლიციის თანამშრომლების მიმართ დაიწყეს აგრესიული ქმედებები, რაც გამოიხატებოდა სიტყვიერ შეურაცხყოფაში, ფიზიკურ დაპირისპირებასა და თავდასხმებში. პოლიციის თანამშრომლების მიერ არაერთი უშედეგო მოწოდების შემდეგ აუცილებელი გახდა წინა რიგებში პოლიციის თანამშრომლების ჩანაცვლება განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლებით, რომლებიც აღჭურვილნი იყვნენ სპეციალური დამცავი საშუალებებით.

სამინისტროს განმარტება არაერთ უზუსტობას შეიცავს. საჯარო წყაროებიდან დგინდება, რომ პოლიცია 7 მარტს, 20:34 საათზე, არათუ რამდენიმე მოწოდების, არამედ ყოველგვარი

---

[34] „პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი.

[35] Amnesty International releases 30 rules to curb the use of chemical irritants by police. ხელმისაწვდომია:https://cutt.ly/VwMXc25R

წინასწარი გაფრთხილების გარეშე, აქციის მშვიდობიანი მონაწილეების მიმართ იწყებს სპეციალური საშუალებების გამოყენებას. გარდა ამისა, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებმა დემონსტრანტების მიმართ წყლის ჭავლი და ცრემლსადენი გაზი ერთდროულადაც გამოიყენეს (20:47), რაც ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებსა და ეროვნულ კანონმდებლობას .[36]

4. შინაგან საქმეთა სამინისტრომ აგრეთვე განგვიმარტა, რომ საპოლიციო კორდონები არ გადაადგილებულან რუსთაველის ქუჩის მიმართულებით, არამედ ხდებოდა პარლამენტის შესასვლელების დაცვა. შესაბამისად, აქციის მონაწილეებს ჰქონდათ შესაძლებლობა პროტესტი მშვიდობიანი ფორმებით გაეგრძელებინათ პარლამენტის შენობის წინ, რუსთაველის გამზირზე.

ამის საპირისპიროდ, სოციალურ ქსელებში ვრცელდებოდა ვიდეოები, სადაც ასახულია როგორ დასდევდა პოლიცია აქციის მონაწილეებს და პოლიციის ავტომობილებში იძულებით სვამდა. პოლიციას აქციის მონაწილეები გამოჰყავდა ქაშუეთის ტაძრიდანაც, სადაც ხალხი თავს აფარებდა.[37] იგივე გაგრძელდა 8-9 მარტის ღამესაც. ცალკეული ადმინისტრაციული საქმეების ანალიზით ჩანს, რომ პოლიცია თავისუფლების მეტროსთანაც აკავებდა მოქალაქეებს. სოციალური სამართლიანობის ცენტრი იცავდა ორი სტუდენტის ინტერესებს, რომლებიც 8 მარტს, დაახლოებით დღის 5 საათზე დააკავეს თავისუფლების მეტროსთან მაშინ, როცა "მთავარი აქცია" რუსული კანონის წინააღმდეგ არც იყო დაწყებული. ამ დროს ჯერ კიდევ ქალების მარშის მონაწილეები გამოდიოდნენ სიტყვით და აბსოლუტურად მშვიდობიანი ვითარება იყო პარლამენტთან.[38]

5. შინაგან საქმეთა სამინისტრო განმარტავს, რომ წყლის ჭავლი პარლამენტის შენობასთან გაჩენილი ხანძრის ჩასაქრობად გამოიყენეს. ადამიანების მიმართ ჭავლი მხოლოდ პოლიციის მხრიდან აუცილებელი მოგერიების მიზნით, არაერთგზისი გაფრთხილების შემდეგ იქნა გამოყენებული.

გავრცელებული ვიდეოჩანაწერებიდან ჩანს, რომ პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული სახანძრო მანქანა დიდი ხნის განმავლობაში არ აქრობდა ცეცხლმოკიდებულ ავტომობილს.[39] გარდა ამისა, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლები ჭავლს

---

[36] „ხალხი რუსული კანონის წინააღმდეგ" - საიას ანგარიშიდან- ტელეკომპანია „მთავარი არხის" მიერ მოწოდებული კადრები, 20:47. კადრებში ჩანს, რომ ჩიტაძის ქუჩაზე დაიძრა წყლის ჭავლის მანქანა რუსთაველის მიმართულებით, სადაც მოქალაქეები დგანან. იმავდროულად, იწყება ცრელმსადენი გაზის გამოყენება, რომელსაც უმისამართოდ ასხამენ შსს-ს წარმომადგენლები.

[37] „გაზი, წყლის ჭავლი, დაკავებები - მასშტაბური აქცია თბილისში რუსული კანონის წინააღმდეგ. ქრონოლოგია და ბევრი ფოტო". ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/FwMVuymQ

[38] რადიო თავისუფლება - აქციაზე ყოფნა უკვე „დანაშაულია" - როგორ განიხილავს სასამართლო მარტის აქციებზე დაკავებულების საქმეებს. ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/AwNFzdCm

[39] „სახანძრო არ აქრობს ცეცხლმოკიდებულ ავტომობილს, რომელიც რუსთაველზე იწვის." ვიდეო ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/wwNHuPvM

იყენებდნენ პირთა ფართო ჯგუფის მიმართ. ჭავლი გამოყენებული იყო იმ ადამიანების მიმართაც, რომლებიც საერთოდ არ ყოფილან ჩართული კანონსაწინააღმდეგო, აგრესიულ ქმედებებში. შესაბამისად, რეალობას არ შეესაბამება შსს-ის განმარტება აუცილებელი მოგერიების მიზნით ჭავლის გამოყენების თაობაზე.

გარდა ვიდეოჩანაწერებსა და სხვა საჯარო წყაროებთან შეუსაბამობისა, მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმაც, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო არ განმარტავს, რამ განაპირობა სპეციალური საშუალებების მასობრივი გამოყენება, როდესაც კანონსაწინააღმდეგო, ძალადობრივი ქმედებები ლოკალურ ხასიათს ატარებდა. სამინისტრო არც იმის შესახებ გვაწვდის ინფორმაციას, თუ რატომ გამოიყენა პოლიციამ ერთდროულად რამდენიმე სპეციალური ღონისძიება მათი თანმიმდევრულად, მსუბუქიდან მკაცრ ღონისძიებებზე ეტაპობრივად გადასვლის ნაცვლად.

შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების დაცვის სტანდარტები

როგორც უკვე აღინიშნა, 7-9 მარტის აქციების დაშლისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისთვის სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლები ძირითად ორ მექანიზმს - მასობრივ ადმინისტრაციულ დაკავებებსა და სპეციალურ საპოლიციო საშუალებებს იყენებდნენ. ორივე შემთხვევაში საპოლიციო მექანიზმების გამოყენების ფორმა კონსტიტუციურ და საერთაშორისო სტანდარტებს ეწინააღმდეგებოდა.

ადმინისტრაციული დაკავებისა და მოქალაქეების სამართალდამრღვევად ცნობის გზით შეკრებისა და გამოხატვის უფლებაში ჩარევა ძირითად შემთხვევაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლების საფუძველზე ხორციელდება. კოდექსის ბუნდოვანი ნორმები ხშირ შემთხვევაში ხელს უწყობს მშვიდობიანი პროტესტის მონაწილეების დასჯას და ართულებს კონსტიტუციით გარანტირებული შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებებით სრულფასოვნად სარგებლობას.[40] საქართველოსთან მიმართებით ევროკომისიის მიერ მომზადებული ევროკავშირის გაფართოების ყოველწლიურ ანგარიშში საუბარია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის რეფორმის საჭიროებაზე და აღნიშნულია, რომ ბუნდოვანი ნორმები საშუალებას აძლევს სამართალდამცავ ორგანოებს, დაუსაბუთებლად შეზღუდონ შეკრებისა და გამოხატვის უფლება.[41] საკანონმდებლო ხარვეზების მიღმა, მთავარ გამოწვევად სამართალდამცავების მიერ შესაბამისი სამართლებრივი ნორმების პრაქტიკაში გამოყენება და ამაზე არაეფექტიანი სასამართლო კონტროლი რჩება.

---

[40] დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი, „შეკრების თავისუფლების მარეგულირებელი საკანონმდებლო მოწესრიგების მოკლე მიმოხილვა“, გვ. 6. ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/twMXk5Bv

[41] COMMISSION STAFF WORKING DOCUMENT Georgia 2023, Report Accompanying the document Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions 2023 Communication on EU Enlargement policy. Pg.37. ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/xwMX3B7e

საქართველოში სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობა Human Rights Watch-მა შეაფასა 2023 წლის მსოფლიო ანგარიშში და ერთ-ერთ მწვავე საკითხად გამოყო პოლიციის არაპროპორციული ჩარევა შეკრების თავისუფლებაში. წინა წლის ანგარიშების მსგავსად, ეს დოკუმენტიც იმეორებს სამართალდამცავი უწყების კრიტიკას ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გამოყენებით აქციის მშვიდობიანი მონაწილეების დაკავების სისტემურ პრაქტიკასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ანგარიშში კრიტიკულად არის ხაზგასმული სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევების საქმეებზე, რაც გამოხატულია სასამართლოს მიერ პოლიციის თანამშრომლების ჩვენებების უპირობო გაზიარებაში.[42]

მარტის აქციებზე არაერთი ადამიანი დააკავეს კანონპროექტის მხარდამჭერი დეპუტატების მისამართით „მონებო"-ს შეძახილის საფუძვლით, რაც გაუმართლებელ ჩარევას წარმოადგენს გამოხატვის თავისუფლებაში. ევროპული სასამართლოს განმარტებით, სახელმწიფოს უფლებამოსილება საგრძნობლად მცირდება, როდესაც გამოხატვა პოლიტიკური შინაარსისაა, პოლიტიკოსებს მიემართება ან საჯარო ინტერესის სფეროში შემავალ საკითხს უკავშირდება.[43]

შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება ურთიერთდაკავშირებული უფლებებია, ვინაიდან შეკრება აზრის გამოხატვისა და გავრცელების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს. საქართველოს კონსტიტუცია[44] და კანონმდებლობა[45] მშვიდობიანი ხასიათის შეკრების უფლებას აღიარებს. შესაბამისად, მარტის მოვლენების შეფასებისთვის არსებითია მშვიდობიანი შეკრების ცნების განსაზღვრა. შინაგან საქმეთა სამინისტრო განმარტავს, რომ 7-9 მარტის აქციები გასცდა მშვიდობიანი გამოხატვის ფორმას და მიიღო ძალადობრივი ხასიათი, რითაც თითქოს ავტომატურად ასაბუთებს აქციის დაშლის აუცილებლობას. ამის საპირისპიროდ, ეუთოს სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, მაშინაც კი, თუ შეინიშნება დემონსტრაციის ერთი ან მეტი მონაწილის არასათანადო ქცევა ან ძალადობის ცალკეული შემთხვევები, მშვიდობიანი დემონსტრაცია ავტომატურად არ იძენს ძალადობრივი შეკრების ხასიათს, რაც თავის მხრივ განხილული იქნებოდა შეკრების თავისუფლების შეზღუდვის სამართლებრივ საფუძველად. [46]

---

[42] Human Rights Watch- Annual Review of Human Rights Around the Globe (2024). ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/ywMX8hrd

[43]ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2021 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილება საქმზე „გაჩეჩილაძე საქართველოს წინააღმდეგ," პარ. 51; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1999 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება „საქმეზე Ceylan v. Turkey," პარ. 34.

[44] საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი.

[45] „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლი.

[46] ადამიანის უფლებათა ცენტრის 2023 წლის ანგარიში შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ. ხელმისაწვდომია:https://cutt.ly/vwMXjwuP

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) რეკომენდაციების თანახმად,[47] წიწაკის სპრეი უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ ძალადობრივ ქმედებაში ჩართულ პირთა მიმართ და არა შეკრების დასაშლელად. ამ საშუალებით შეკრების მონაწილეების იძულება, დაემორჩილონ პოლიციის მოთხოვნებს არ არის გამართლებული. ამასთან, არსებობს გარკვეული გარემოებები, როდესაც წიწაკის სპრეის გამოყენება დაუშვებელია. მაგალითად, მისი გამოყენება არ უნდა მოხდეს მშვიდობიანი შეკრების დასაშლელად, რომელშიც ხანშიშესული ადამიანები, ბავშვები ან სხვა ისეთი პირები იღებენ მონაწილეობას, რომლებსაც შესაძლოა გაუჭირდეთ ამ ნივთიერებებისგან თავის არიდება. წიწაკის სპრეისა და სხვა გამაღიზიანებელი მოქმედების, ქიმიური ნივთიერების ადამიანების მიმართულებით დამიზნებით გასროლა დაუშვებელია. ამასთან, ODIHR-ის განმარტებით, ქიმიური ნივთიერებების გამოყენების დროს სავალდებულო უნდა იყოს დეტალური ანგარიშის მომზადება, სადაც სამართალდამცავი ორგანო განმარტავს გამოყენების საფუძველს, შედეგს, პროპორციულობას და ა.შ.

ამ რეკომენდაციების საპირისპიროდ, 7-9 მარტს პოლიცია წიწაკის სპრეის არამხოლოდ სავარაუდო ძალადობრივ ქმედებაში ჩართულ პირთა მისამართით, არამედ მასშტაბურად, პირთა ფართო ჯგუფის მიმართ იყენებდა. ამასთან, უფლებების შეზღუდვის საფუძველთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტრო მხოლოდ ფორმალური და ზედაპირული განმარტებით შემოიფარგლა. სპეციალური საშუალებების ერთდროულად გამოყენების პროპორციულობაზე უწყებას განმარტება არ გაუკეთებია.

„პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, პოლიციის მხრიდან იძულების ღონისძიებების, მათ შორის აქტიური სპეციალური საშუალებების (სპეციალური ხელკეტი, ცრემლსადენი გაზი, აკუსტიკური საშუალება, რეზინის ტყვიები, წყლის ჭავლი და სხვ.), პროპორციული გამოყენება დასაშვებია კანონიერი მიზნის მისაღწევად, შესაბამისი ინტენსივობითა და გამოსადეგი საშუალების აუცილებლობის ფარგლებში. იძულების ღონისძიების სახე და ინტენსიურობა უნდა განისაზღვროს კონკრეტული სიტუაციის, სამართალდარღვევის ხასიათისა და სამართალდამრღვევის ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია, რომ მიყენებული ზიანი მინიმალური და შექმნილი საფრთხის თანაზომიერი იყოს. ამასთან, აკრძალულია ისეთი საშუალებების გამოყენება, რომელიც იწვევს მძიმე დასახიჩრებას ან/და რომლის გამოყენებაც დაკავშირებულია გაუმართლებელ რისკთან. „პოლიციის შესახებ" კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტი მიუთითებს, რომ პოლიცია მხოლოდ საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დასაცავად უნდა იყენებდეს პასიურ და აქტიურ სპეციალურ საშუალებებს. შინაგან საქმეთა სამინისტრო სწორედ ამ ზოგად საკანონმდებლო დანაწესებს ეყრდნობა და უპასუხოდ ტოვებს შეკითხვებს სპეციალური საშუალებების მასობრივად გამოყენების

[47] ODIHR - „ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო შეკრებების დროს პოლიციის მიერ წესრიგის დაცვის შესახებ". ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/AwMXhvBJ გვ. 105.

აუცილებლობისა და რამდენიმე საშუალების ერთდროულად გამოყენების საჭიროების შესახებ.

უსაფუძვლო მასობრივი დაკავებები და სპეციალური საშუალებების აუცილებლობის გარეშე გამოყენება საპროტესტო აქციაზე პოლიციის თვითნებური მოქმედებების გამოვლინებაა. ამ მექანიზმებით შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების სისტემატურად შეზღუდვას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ბუნდოვანი ნორმების გარდა, არაეფექტიანი სასამართლო კონტროლიც ახალისებს. მარტის აქციებზე სახელმწიფოს მოქმედება და რეპრესიული მექანიზმების გამოყენების ფორმა მკაფიოდ აჩვენებს, რომ სახელმწიფოს მიზანი არა საპროტესტო აქციების მიმდინარეობისას საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვა, არამედ პოლიტიკური გამოხატვის შეზღუდვა იყო.

შეჯამება და რეკომენდაციები

„უცხოური გავლენების გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტის გახმობა პოზიტიური ნაბიჯი იყო, თუმცა მმართველი პოლიტიკური გუნდი საკანონმდებლო ინიციატივის მიღმაც აგრძელებს კოორდინირებულ დისკრედიტაციის კამპანიას სამოქალაქო ორგანიზაციებისა და მედიის მისამართით.

ამასთან, ხელისუფლება განაგრძობს აქტივისტების წინააღმდეგ პოლიციის და ადმინისტრაციული სამართალწარმოების ინსტრუმენტალიზებას. ადმინისტრაციული დაკავებების თვითნებური პრაქტიკით და მაღალი ჯარიმების დაკისრებით სისტემა ცდილობს საპოლიციო კონტროლს დაუქვემდებაროს მშვიდობიანი შეკრების მონაწილეები და ორგანიზატორები, რაც მოქალაქეების თვითორგანიზების დასუსტებას, საზოგადოების დაშინებასა და აქტივისტების შევიწროებას ისახავს მიზნად. პრობლემას წარმოადგენს ისიც, რომ ამ დრომდე გამოძიებული არ არის სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების მიერ აქციის ცალკეული მონაწილეების მიმართ შესაძლო ძალის გადამეტების დანაშაული.

სოციალური სამართლიანობის ცენტრის შეხედულებით, სამომავლოდ, შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების უზრუნველსაყოფად აუცილებელია:

- საქართველოს პარლამენტმა ოპტიმალურ ვადაში უზრუნველყოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კანონმდებლობის სისტემური რეფორმა;
- მმართველმა გუნდმა და პროსახელისუფლებო მედიამ შეწყვიტონ სამოქალაქო ორგანიზაციებისა და მედიის დისკრედიტაციისკენ მიმართული კამპანია;
- შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეწყვიტოს შეკრებების და მანიფესტაციების დროს მოქალაქეების მასობრივი დაკავების პრაქტიკა. ამავდროულად, სავალდებულო გახდეს სამართალდამცავებისთვის მოქალაქესთან კომუნიკაციის დროს სამხრე ვიდეო-კამერების ჩართვა;
- სასამართლოები ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებზე გადაწყვეტილების გამოტანის დროს არ დაეყრდნონ მხოლოდ პოლიციელების ჩვენებას;

- სპეციალურ საგამოძიებო სამსახურმა დროულად, ობიექტურად და ეფექტიანად გამოიძიოს მშვიდობიანი შეკრების მონაწილეების მიმართ არაპროპორციული ძალის სავარაუდო გამოყენებისა და ღირსების შელახვის ფაქტები;
- პოლიციამ სპეციალური საპოლიციო საშუალებები გამოყენოს პროპორციული ძალის პრინციპის შესაბამისად, მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევებში.